2-2450/25
25-02-2025

საქართველოს პარლამენტის
კულტურის კომიტეტის
თავმჯდომარეს
ბატონ გიორგი გაბუნიას

ასლი: საქართველოს პარლამენტის
საორგანიზაციო დეპარტამენტის უფროსს
ქალბატონ ეთერ სვიანაიძეს

საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა
და
ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის

დ ა ს კ ვ ნ ა

საქართველოს პარლამენტის წევრების გიორგი გაბუნიასა და ნოდარ ტურძელაძის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილ საქართველოს კანონების პროექტებზე „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“
(№07-3/24; 10.02.2025)

საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტმა 2025 წლის 25 თებერვლის სხდომაზე განიხილა საქართველოს პარლამენტის წევრების გიორგი გაბუნიასა და ნოდარ ტურძელაძის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონების პროექტები „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ .

კომიტეტის მოსაზრებით მიზანშეწონილია კანონპროექტის პირველი მუხლის მე-2 პუნქტში დაკონკრეტდეს რა იგულისხმება „კულტურულ-შემოქმედებითი დაწესებულებებში“, რადგან კანონპროექტით შემოთავაზებულია ტერმინი „კულტურულ-შემოქმედებითი რადიომაუწყებლობა“, ხოლო „კულტურის შესახებ“ საქართველოს კანონი იცნობს ტერმინს „კულტურის ორგანიზაცია“.

კომიტეტმა, ზემოაღნიშნული შენიშვნის გათვალიწინებით, წარმოდგენილი საკანონმდებლო ინიციატივა მომზადებულად მიიჩნია საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განხილვისათვის.

პატივისცემით,

კომიტეტის თავმჯდომარე
შოთა ბერეკაშვილი